ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N22

2015 წლის 26 ივნისი

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის № 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის № 19 დადგენილებაში (სსმ, 28. 07. 2014წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გამგეობის სამსახურებია:

ა) ადმინისტრაციული სამსახური;

ბ) საფინანსო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური;

გ) ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;

დ) სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახური;

ე) მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახური;

ვ) შიდა აუდიტის სამსახური;

ზ) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური;

თ) საინვესტიციო გარემოს განვითარებისა და ანალიტიკური სამსახური."

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე